ქალთა მიმართ პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე რეაგირება

საფარი

2024

©2024, ორგანიზაცია „საფარი“, ყველა უფლება დაცულია

ანგარიშის ავტორი: გოგა ხატიაშვილი

შინაარსობრივი რედაქტორი: ბაია პატარაია

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

საფარი SAPARI

ანგარიში მომზადდა “საფარის” მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია “საფარი” და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის მეთოდოლოგია 3

1. კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი 5

2. სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზი 11

3. თვისებრივი კვლევის ანალიზი 15

3.1. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები 15

3.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოვლენილი გამოწვევები 20

დასკვნა და ძირითადი მიგნებები 24

რეკომენდაციები 26

შესავალი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და ფუნდამენტური უფლებაა, რომლის ხელყოფამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. აღნიშნული უფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, ადამიანის პირად ცხოვრებასთან უკანონოდ მოპყრობის სხვადასხვა ფორმა კრიმინალიზებულია. საქართველოში 2023 წელს პირადი ცხოვრების შესაძლო ხელყოფის 168 საქმეზე დაიწყო გამოძიება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 41 პირის მიმართ.[1]

2022 წლის პირველ მარტამდე, პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება განეკუთვნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუმცა, 2022 წლის პირველი მარტის შემდგომ, აღნიშნულ დანაშაულებს იძიებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური[2]. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით, პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება არის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პრეროგატივა, კვლევა აქცენტს აკეთებს აღნიშნული უწყების გამოცდილებასა და პრაქტიკაზე.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ქალთა პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევებისა თუ სირთულეების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს გამოძიების ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

ვიმედოვნებთ, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად მომზადებული ანგარიში დაეხმარება, პირველ რიგში, სახელმწიფო უწყებებს პირადი ცხოვრების ხელყოფის, ასევე სქესობრივი დანაშაულების საკანონმდებლო ბუნდოვანებების აღმოფხვრასა და ცალკეული მიმართულებით არსებული ნაკლოვანი და ხარვეზიანი პრაქტიკის გამოსწორებაში, ასევე საზოგადოების წევრებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს, ცნობიერების ამაღლებასა და ადვოკატირების ღონისძიებების განხორციელებაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა მეთოდოლოგია და იდენტიფიცირდა საკითხის შესასწავლად საჭირო აქტივობები. ასევე, მომზადდა სამაგიდე კვლევა, რომელიც მოიცავს პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სისხლის

---

[1] *სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2023, 68.*

[2] *„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი.*

სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების ანალიზსა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ სირთულეებს.

კვლევის მეორე ეტაპზე, გაანალიზდა „საფარის" წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის ის საქმეები, რომლის მასალებზეც ორგანიზაციას მიუწვდებოდა ხელი. შესწავლილ იქნა არა საქმის სრული მასალები, არამედ - საქმის გამოთხოვის ან/და გაცნობის მომენტისთვის არსებული მდგომარეობით შეგროვებული დოკუმენტები, რომელზეც ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება ან/და დაწყებულია სისხლისსა-მართლებრივი დევნა.[3]

ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია პირადი ცხოვრების ხელყოფის საქმეებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე მომზადებული თვისებრივი კვლევის შედეგები.

ამდენად, კვლევა ჩატარდა შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენებით:

- მომზადდა კანონმდებლობის ანალიზი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157[1]-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე;
- ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებთან და იურისტებთან[4];
- ჩატარდა ინტერვიუები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძი-ებლებთან[5];
- კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა ორგანიზაცია „საფარის" წარმოებაში არსებული 7 სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც გამოძიება დაიწყო ან/და გაგრძელდა 2023-2024 წლებში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157[1]-ე მუხლებით. აქედან, სამ საქმეზე დაიწყო სისხლისსა-მართლებრივი დევნა[6], ერთ საქმეზე დაიწყო განრიდების პროცედურა, ხოლო სამ საქმეზე, 2024 წლის 12 აპრილის მდგომარეობით, კვლავ მიმდინარეობს გამოძიება;

- კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა უზენაესი სასამართლოს 6 განჩინებისა და თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების 2 განაჩენში სასამა-რთლოს მიერ გამოყენებული განმარტებანი;

- სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ოფიციალური კორე

- სპონდენციით უარი გვითხრა სისხლის სამართლის საქმეების მასალის გაცნობასთან დაკავშირებით[7].

---

[3] მკვლევრისთვის საქმის მასალების გასაცნობად გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: 1. დაზარალებულის წერილობითი თანხმობა; 2. საქმის მასალების დაშტრიხვა; 3. ადვოკატის ოფისის გამოყენებით, მკვლევრის საქმეში ჩართვა.

[4] ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციის 7-მა წარმომადგენელმა.

[5] ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 5 გამომძიებელთან.

[6] ზოგიერთი საქმის განხილვა დასრულდა და დადგა განაჩენი, თუმცა, აღნიშნული კვლევის ფარგლებში არ შეფასებულა სასამართლო გადაწყვეტილებები.

[7] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ოფიციალური წერილი #SIS22400003257, 23/02/2024.

შესაბამისად, ანგარიში ეფუძნება ზემოხსენებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გამოკვლეულ და მიღებულ ინფორმაციას. მართალია, კვლევა, მისი მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, შესაძლოა, არ იძლეოდეს ყოვლისმომცველ და ამომწურავ დასკვნებს აღნიშნულ სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ, თუმცა, ანგარიში ითვალისწინებს საყურადღებო და ღირებულ ინფორმაციას, როგორც საკანონმდებლო გამოწვევების, ისე პრაქტიკაში არსებული სირთულეების თაობაზე.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით, მომზადდა რეკომენდაციებიც, რაც შესაბამის უწყებებს დაეხმარება როგორც საკანონმდებლო ნაკლოვანებების გამოსწორებაში, ისე - პრაქტიკული პრობლემების დაძლევაში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქალების ხელმისაწვდომობას პირადი ცხოვრების ხელყოფასთან, მათ შორის, სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე.

1. კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს ისეთ ქმედებებს, რომელიც ხელყოფს ადამიანის პირად ცხოვრებას ან პერსონალურ მონაცემებს, პირადი ცხოვრების საიდუმლოს, კერძო კომუნიკაციით ან პირადი მიმოწერით, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოს.

მუხლი 157. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მუხლი 157[1]. პირადი ცხოვრების ამსახველი საიდუმლოს ხელყოფა პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

მუხლი 158. კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა.

მუხლი 159. პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა

პირადი მიმოწერის ან სატელეფონო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვება, გახსნა, შინაარსის გაცნობა ან შენახვა.

პრაქტიკაში პრობლემურია აღნიშნული ნორმების, განსაკუთრებით სსკ-ის 157-ე და 157[1]-ე მუხლების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რაც მათი საერთო მახასიათებლებითა და მისი შემადგენელი ელემენტების ფართო და არაგანჭვრეტადი შინაარსით აიხსნება.

სსკ-ის 157-ე მუხლით, დასჯადია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულის საგანია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები.

პირადი ცხოვრება ფართო ცნებაა და გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს, რომელსაც არ აქვს ამომწურავი განსაზღვრება და მოიცავს პირის ინდივიდუალურობას, ავტონომიას, საცხოვრებელს, მიმოწერას, მფლობელობას, კონკრეტულ ადამიანთა წრეს, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია და ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის. პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას კი, აქვს ისეთი შინაარსი, რომელიც, შესაძლოა, არც პირადი საიდუმლო იყოს და არც ოჯახური, თუმცა ასახავს პირადი ცხოვრების დეტალებს, რომლის გასაჯაროებაც პირს არ სურს. მაგალითად, ვის ხვდება, როგორ ერთობა, რა ხდება მისი პირადი ცხოვრების ადგილას და ა. შ. პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას წარმოადგენს ფოტო, აუდიო, ვიდეო ან დოკუმენტურ მასალაზე აღბეჭდილი ინფორმაცია, რომელიც არ მოიცავს ინდივიდის პირად საიდუმლოებას, თუმცა, ასახავს მისი ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს, როგორიცაა პირადი ჰიგიენა, გადაადგილება, შეხვედრები, შესყიდვები, დასვენება და სხვა აქტივობები[8]. ამიტომ, თუ პირის თანხმობის გარეშე, ვინმე იღებს მისი პირადი ცხოვრების დეტალებს, აღნიშნული შეფასდება სსკ-ის 157-ე მუხლით.

2016 წელს, სსკ-ის 157-ე მუხლიდან გაიმიჯნა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა და ცალკე ნორმად, სსკ-ის 157[1]-ე მუხლის სახით ჩამოყალიბდა. ცვლილებების მიზანი იყო პირადი ცხოვრების საიდუმლოს, როგორც განსაკუთრებული დაცვის სფეროს ხელყოფის პრევენცია, რაც, ერთი მხრივ, დანაშაულის ჩადენისათვის დადგენილი სასჯელის ზომის გამკაცრებაში, ხოლო მეორე მხრივ, ზიანის მიყენების ფაქტის სავალდებულო მოთხოვნის გაუქმებაში გამოიხატა[9].

სსკ-ის 157[1]-ე მუხლით, დასჯადია პირადი ცხოვრების ამსახველი საიდუმლოს ხელყოფა. დანაშაულის საგანია პირადი ცხოვრების საიდუმლო. პირადი ცხოვრების საიდუმლო არის ადამიანის პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული დანაშაულის მიზნებისათვის, პირადი საიდუმლოება არის ინდივიდის ისეთი პირადი ცხოვრება, რომელიც დაფარული და გასაიდუმლოებულია გარეშე პირთათვის, არ

---

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის №418აპ-23 განჩინება.

[9] *განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის კანონის პროექტზე, 1, http://tinyurl.com/32z8v6ye [25.02.2024].*

განეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმით დაცულ საიდუმლოებას და მის მიმართ ობიექტურად არსებობს საიდუმლოდ დაცვის მომეტებული ინტერესი, მისი გასაჯაროება კი, პირს შეუქმნის გარკვეულ უხერხულობას ან/და ჩააყენებს თავის მართლების რეჟიმში[10]. შესაბამისად, ამგვარი ინფორმაციის გასაჯაროება თავისთავად ზიანის მიმყენებელია ნებისმიერი პირისთვის.

პირადი ცხოვრების საიდუმლოება შესაძლებელია, იყოს როგორც ოფიციალურ ჩანაწერებში, ასევე - ფოტო, აუდიო, ვიდეო ან დოკუმენტურ მასალაზე აღბეჭდილი. პირად საიდუმლოებას განეკუთვნება პირის მიერ დაფარული ისეთი ცნობები, რომელიც ეხება ადამიანის ეთნიკურ კუთვნილებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სიშიშვლეს, სქესობრივ ცხოვრებას, მსხვერპლად აღიარებას, ფინანსურ მდგომარეობას, სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობას (ნასამართლობა, ქორწინება, განრიდება, დაჯარიმება) და ა. შ.[11] პირად საიდუმლოს, შეიძლება, წარმოადგენდეს კონკრეტული პირის პირადი თვისებები, ჩვევები, ხასიათი, დაავადება, ვალი, სხეულის ანატომიური აგებულება, ინტიმური კავშირი და მრავალი სხვა[12].

ადამიანის პირადი ცხოვრება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ადამიანის პირადი საიდუმლო. პირადი საიდუმლო პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ კანონმდებელმა, საიდუმლოს უპირატესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის დასაცავად ცალკე ნორმა შემოიღო. პირად საიდუმლოს განეკუთვნება ცნობები, რომელიც ეხება პირის ჯანმრთელობას, სექსუალურ ორიენტაციას, მის მიმართ ჩადენილი ძალადობის ან სხვაგვარ შეურაცხმყოფელ ქმედებას და სხვ.[13] ადამიანის შიშველი სხეულის გამოსახულება და მისი სქესობრივი აქტის ამსახველი ფოტო/ვიდეომასალა შეიცავს იმგვარ ინფორმაციას, რომელიც, როგორც წესი, დაფარულია გარეშე პირებისათვის და ადამიანის განსაკუთრებულად დაცულ პირად საიდუმლოებას განეკუთვნება. ადამიანის ინტიმური სფერო ყოველთვის პირადი ცხოვრების საიდუმლოებაა[14].

ქმედების სსკ-ის 157[1]-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია, დადგინდეს, თუ რა შემთხვევაში ითვლება პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვება უკანონოდ. ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება გულისხმობს პირის წინასწარი ნებართვის გარეშე, მისგან მალულად, ამგვარი ინფორმაციის ასახვას ან აღბეჭდვას ფოტო/ვიდეო ან სხვა მასალაზე[15].

---

[10] ღეკვეიშვიღი მ., მამუღაშვიღი გ., თოდუა ნ., სისხღის სამართღის კეhძო ნაწიღი, დანაშაუღი ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწიღი პიhვეღი, მეhვე გამოცემა, თბიღისი, 2023, 487.

[11] საქართველოს უზენაესი სასამართღოს სისხღის სამართღის საქმეთა პაღატის 2023 წღის 20 ივნისის №418ა3-23 განჩინება.

[12] ქუთაისის საქაღაქო სასამართღოს 2020 წღის 6 აპრიღის №1/732-19წ. განაჩენი.

[13] ღეკვეიშვიღი მ., მამუღაშვიღი გ., თოდუა ნ., სისხღის სამართღის კეhძო ნაწიღი, დანაშაუღი ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწიღი პიhვეღი, მეhვე გამოცემა, თბიღისი, 2023, 488.

[14] ღვაღიძე ი., ხარანაუღი ღ., თუმანიშვიღი გ., წიქარიშვიღი კ., ადამიანის უფღებებისა და თავისუფღებების წინააღმდეგ მიმართუღი დანაშაუღები საქართველოს სისხღის სამართღის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბიღისი, 2019, 421.

[15] საქართველოს უზენაესი სასამართღოს სისხღის სამართღის საქმეთა პაღატის 2024 წღის 15 იანვრის №1050ა3-23 განჩინება.

უკანონო გამოყენებად ფასდება დამნაშავის მიერ პირადი ცხოვრების საიდუმლოს გავრცელების მუქარა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, დამნაშავე უკანონოდ, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის ნებართვის გარეშე, პერიოდულად იღებდა ფოტო და ვიდეოკადრებს, მათ შორის, ინტიმური თანაცხოვრების დეტალებს, რასაც უკანონოდ ინახავდა კომპიუტერში. ოჯახში ძალადობისა და კონფლიქტის გამო, ქალი მეუღლეს დაშორდა. ერთ დღეს, მამაკაცი შეხვდა ყოფილ მეუღლეს, აჩვენა უკანონოდ მოპოვებული ფოტო და ვიდეომასალა და უკანონოდ გამოიყენა. კერძოდ, ყოფილ მეუღლეზე ზემოქმედების მიზნით, რათა დაზარალებულს თავისი ნების საწინააღმდეგოდ გაეგრძელებინა მასთან თანაცხოვრება, დამნაშავე დაემუქრა, რომ უარის შემთხვევაში, ხსენებულ მასალას გაუგზავნიდა მის მშობლებს. პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 157[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებაში, შენახვასა და გამოყენებაში.

მოცემულ საქმეში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინფორმაციის სხვა პირებისათვის გადაგზავნის მუქარა, უკანონო გამოყენებად შეფასდა. სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონო გამოყენება გამოკვეთილია დამნაშავის მიერ ფოტო და ვიდეოფაილების გავრცელების მუქარის მომენტშივე, რაც მიუთითებს აღნიშნული დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობაზე[16].

შესაბამისად, ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მოხდეს გავრცელების გარეშეც, როდესაც პირი პირადი ცხოვრების საიდუმლოს იყენებს დაზარალებულის ნებაზე ზემოქმედების მიზნით[17], მაგალითად, შანტაჟისთვის ან პირზე სხვა სახის ზეწოლისათვის[18].

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაული - ადამიანის შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოებისა და ვიდეომასალის უკანონოდ მოპოვება, გამოყენება და გავრცელება არაერთგვაროვნად - ზოგჯერ, პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციად, ზოგჯერ კი, პირადი ცხოვრების საიდუმლოებად ფასდება.

არსებული პრაქტიკით, როგორც წესი, პირის შიშველი სხეულის ამსახველი მასალა (ფოტო ან/და ვიდეო) პირადი ცხოვრების საიდუმლოდ, ხოლო მისი უკანონო მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის მუხლით კვალიფიცირდება.[19] ერთ-ერთ საქმეში, პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 157[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა პირადი ცხოვრების საიდუმლოს, კერძოდ შიშველი ფოტოსურათების უკანონოდ შენახვაში[20].

---

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 16 ნოემბრის №542აპ-20 განჩინება. დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა იგივე შედეგგარეშე დელიქტია, რომელიც დანაშაულად მიიჩნევს ქმედებას აქტიური მოქმედების ჩადენის მომენტიდან, დამდგარი შედეგის მიუხედავად. შესაბამისად, სავალდებულოდ არ ითვალისწინებს შესაძლო საზიანო შედეგის დადგომას.

[17] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 18 სექტემბრის №1/2595-19 განაჩენი.

[18] ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწილი პირველი, მეხვე გამოცემა, თბილისი, 2023, 490.

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 31 ივლისის №316აპ-20 განჩინება.

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 2 ივნისის №282აპ-22 განჩინება.

კიდევ ერთ საქმეში, დამნაშავემ უკანონოდ მოიპოვა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოსურათი, რომელიც მსხვერპლის ნებართვის გარეშე, უკანონოდ, მობილური ტელეფონით გადაიღო, რაც უკანონოდ შეინახა და მესენჯერით დაზარალებულის დედას გადაუგზავნა. აღნიშნული ქმედებაც სსკ-ის 157[1] მუხლით - პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფად - შეფასდა[21]. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პრაქტიკით, როგორც წესი, ინტიმური შინაარსის შემცველი სხეულის ფოტო და ვიდეოკადრები პირადი ცხოვრების საიდუმლოებად ფასდება[22]. ასევე, ყველა იმ საქმეზე, რომელიც კვლევის ფარგლებში იქნა შესწავლილი, გამოძიება დაიწყო ან/და გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 157[1]-ე მუხლით[23].

თუმცა, აღნიშნულისგან განსხვავებით, სხვა საქმეში შიშველი სურათების შენახვა, გამოყენება და გავრცელება როგორც ბრალდების მხარის, ისე სასამართლოს მიერ შეფასდა არა პირადი ცხოვრების საიდუმლოებად, არამედ - პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციად, სსკ-ის 157-ე მუხლით. კერძოდ, დამნაშავემ დაზარალებულს მოსთხოვა სასურველ პოზაში შიშველი სურათებისა და ვიდეოების გადაღება და სოციალური ქსელის. „ფეისბუკის" საშუალებით, მისთვის გადაგზავნა. აღნიშნულის შემდეგ, დამნაშავემ, დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, ამ უკანასკნელის შიშველი სურათები და ვიდეომასალა შეინახა, გამოიყენა და უკანონოდ გაავრცელა - თავის მეგობრებს გადაუგზავნა[24]. კიდევ ერთ საქმეში, პირის ბანაობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი და შიშველი სხეულის ფოტო, რომელიც დამნაშავემ ფარულად დამონტაჟებული მობილური ტელეფონის ვიდეოკამერის მეშვეობით უკანონოდ მოიპოვა, ბრალდების მხარის მიერ სსკ-ის 157[1]-ე მუხლით დაკვალიფიცირდა. თუმცა, სასამართლოს მიერ აღნიშნული ქმედება არა პირადი ცხოვრების საიდუმლოდ, არამედ პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციად შეფასდა და სსკ-ის 157-ე მუხლზე გადაკვალიფიცირდა. სასამართლოს განმარტებით, პირის ბანაობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი და შიშველი სხეულის ფოტო წარმოადგენს არა პირადი ცხოვრების საიდუმლოს, არამედ პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას[25].

არსებული პრაქტიკაც ადასტურებს, რომ პრობლემურია სსკ-ის 157-ე და 157[1]-ე მუხლების გამიჯვნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დანაშაულის საგანია პირის შიშველი სხეულის ამსახველი მასალა. აღნიშნული დანაშაულის დეფინიციები შეიძლება, განისხვავოს იმის მიხედვით, საიდუმლოს შეიცავს თუ არა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის

---

[21] *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის №1/732-19წ. განაჩენი.*

[22] *სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არასრულწლოვნის მიმართ გახყვნილი ქმედების და პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის ფაქტები გახსნა, http://tinyurl.com/4k5wcc7a; სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის ფაქტზე 14 პირი ამხილა, ამოღებულია არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილები, http://tinyurl.com/4rexyus2; სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 300-ზე მეტი პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილი ამოიღო და დანაშაულში 14 პირი ამხილა, http://tinyurl.com/yvf4bwby; სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავა, http://tinyurl.com/yn3et73f, [25.02.2024].*

[23] *იხ. სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზის თავი.*

[24] *საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 12 სექტემბრის №538ას-22 გა--ნჩინება.*

[25] *საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის №418ას-23 განჩინება.*

კოდექსი არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება, ჩაითვალოს პირადი ცხოვრების საიდუმლოებად. ამიტომ, ნორმა იძლევა ფართო განმარტებისა და თვითნებობის შესაძლებლობას. მოცემული ნორმებით გათვალისწინებული სანქციის ოდენობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმისათვის, რომ კანონმდებელმა ნათლად გამიჯნოს ეს ორი დანაშაული[26].

სსკ-ის 157-ე და 157[1]-ე მუხლების გამიჯვნის პრობლემაზე მიუთითებენ არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტები და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებიც. გამომძიებლების შეფასებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურია, თუ რა სახის კვალიფიკაციას მიანიჭებენ საქმეს, თუმცა აღნიშნავენ, რომ ინტიმური ხასიათის ფოტოებს, პირის ჯანმრთელობასთან ან სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ყველა შემთხვევაში პირადი ცხოვრების საიდუმლოდ აფასებენ. აღნიშნულს ადასტურებს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელიც. კერძოდ, მისი თქმით, პრაქტიკაში ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული დეტალები პირადი ცხოვრების საიდუმლოდ ფასდება. კიდევ ერთი ადვოკატის განმარტებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 157[1]-ე მუხლით, თუმცა, საქმის გარემოებები არ შეიცავდა პირადი ცხოვრების საიდუმლოს. მისი თქმით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, გარკვეულწილად „თავს იზღვევს", უფრო მძიმე მუხლით წარმართავს გამოძიებას, რომ შემდეგ სასამართლომ შეძლოს გადაკვალიფიცირება, თუ არ ეთანხმება წარდგენილ ბრალდებას.

როგორც გამომძიებლები მიუთითებენ, კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს გადამწყვეტია, თუ რამდენად მაღალი ინტენსივობისაა ქმედება და რა გავლენას ახდენს იგი მსხვერპლზე, რა ხარისხით იჭრება პირის უფლებებში, თუმცა სათანადო საკანონმდებლო განმარტების არარსებობის პირობებში, არ არსებობს სტაბილური და ერთგვაროვანი საგამოძიებო თუ სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების—განვითარების გარანტია.

ერთ-ერთი გამომძიებლის განმარტებით, აუცილებელია, კანონმდებლობით განიმარტოს, თუ რა ითვლება პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციად და რა - პირადი ცხოვრების საიდუმლოდ.

„ახლა დღეს ამას პრაქტიკით ვაკეთებთ, მაგრამ შეიძლება, რასაც მე ჩავთვლი პირადი ცხოვრების საიდუმლოდ, სასამართლომ ეს ჩათვალოს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციაა. რადიკალურად განსხვავებულია სასჯელებიც. სსკ-ის 157-ე მუხლს გაცილებით დაბალი სანქცია აქვს და შედეგიც სჭირდება (იგულისხმება მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა). ამიტომ, კარგი იქნება, თუ საკანონმდებლო ნორმაშივე განიმარტება, თუ რა არის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია და რა - პირადი ცხოვრების საიდუმლო. მეტ-ნაკლებად ვეყრდნობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს, მაგრამ ეს კანონი საერთოდ არ გვაძლევს პირადი ცხოვრების საიდუმლოს განმარტებას. შესაძლოა, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი იყოს როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლო, ისე - პირადი

[26] *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, 408, http://tinyurl.com/wpnub37c [25.02.2024].*

ცხოვრების ამსახველი ინფორმაციაც. ამიტომ, კარგი იქნება, თუ დეფინიციების განმარტებას მოახდენს კანონმდებელი იმისათვის, რომ აღარ იყოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა. შესაძლოა, ერთმა გამომძიებელმა რაღაც ქმედება სსკ-ის 157-ე პრიმა მუხლით დააკვალიფიციროს, ხოლო სხვა გამომძიებელმა იგივე ქმედება სხვა კვალიფიკაციით შეაფასოს. მეტ-ნაკლებად ვცდილობთ, რომ ერთიანი პრაქტიკა დავნერგოთ, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განსხვავებული მოსაზრებები აღარ იყოს", - ამბობს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი.

აღნიშნულ მოსაზრებას პირადი ცხოვრების საიდუმლოსა და პირადი ცხოვრების ხელყოფის საკანონმდებლო გამიჯვნის აუცილებლობაზე სხვა გამოკითხული გამომძიებლებიც იზიარებენ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ყველაზე მეტ პრობლემას სწორედ გამოძიების დაწყების დროს კვალიფიკაციის შერჩევის ნაწილში აწყდებიან.

ერთ-ერთი გამომძიებელი აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში არ ჰქონია შემთხვევა, როდესაც სსკ-ის 157-ე მუხლით დაიწყო გამოძიება, ვინაიდან, როგორც წესი, ასეთი დაბალი ინტენსივობის ქმედებებზე იშვიათად მიმართავენ ხოლმე საგამოძიებო ორგანოს. მასვე მოჰყავს მაგალითი იმის ასახსნელად, თუ რას მიიჩნევს პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციად. მაგალითად, თუ პირს, მისი ნებართვის გარეშე, გადაუღეს და გაუვრცელეს ფოტო, რომელშიც არის ჩაცმული და იმყოფება საცხოვრებელ სახლში, შემდგომში კი აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის ის სამსახურში უნდა ყოფილიყო. ფოტოს გავრცელების გზით, მისმა ხელმძღვანელმა გაიგო, რომ სამუშაო საათებში სახლში იმყოფებოდა. ამის გამო, იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. შესაბამისად, აღნიშნული პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოს გავრცელებით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

2. სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზი

ყველა საქმეზე გამოძიება დაიწყო ან/და გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1]-ე მუხლით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა). აღნიშნული დანაშაულის ჩადენა, ძირითადად, ხდება სოციალური პლატფორმების გამოყენებით, და იგი ქალის შიშველი სხეულის ამსახველი, ინტიმური ხასიათის ფოტო-ვიდეო მასალის უკანონო მოპოვებას, გამოყენებას ან/და გავრცელებას ეხება.

შესწავლილი საქმეების შემთხვევაში, გამოძიება უმეტესად დროულად, შეტყობინების გაკეთებიდან იმავე ან მეორე დღეს, სათანადო კვალიფიკაციით დაიწყო, თუმცა, დაფიქსირდა გამონაკლისებიც.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე გაკეთებული შეტყობინების თანახმად, რომელიც 27 აპრილს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა, დამნაშავე დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ავრცელებდა ქალის პირადი ცხოვრების ამსახველ ფოტოებსა და ვიდეოებს დაზარალებულის ახლო ნათესავებთან. გამოძიება სამი დღის დაგვიანებით, დაზარალებულთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ

დაიწყო, სისხლის სამართლის კოდექსის 157[1]-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით[27].

კიდევ ერთ საქმეზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 151[1]-ე მუხლით (ადევნება), მაშინ, როდესაც როგორც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტანილი განცხადება, ისე დაზარალებულის გასაუბრებისა და გამოკითხვის ოქმები, სხვა დანაშაულის ნიშნების შემცველ ინფორმაციასაც შეიცავდა, მათ შორის, მიუთითებდა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებაზე. კერძოდ, ორგანიზაცია „საფარის" მიერ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტანილ განცხადებაში მითითებული იყო, რომ სავარაუდო დამნაშავეს ჰქონდა ქალის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები და მას მუდმივად ემუქრებოდა მათი გასაჯაროებით. ასევე, განცხადების თანახმად, ადგილი ჰქონდა ადევნებასა და იძულებას. აქედან გამომდინარე, ითხოვდნენ გამოძიების დაწყებას სსკ-ის 157-ე, 151-ე პრიმა და 150-ე მუხლებით. ქალმა გასაუბრების დროსაც დაადასტურა, რომ მისი შიშველი ფოტოები დამნაშავემ გადაიღო მისი ნებართვის გარეშე, რაც მის პირად საიდუმლოს წარმოადგენდა[28].

პრობლემურია გამოძიების დაწყებამდე სავარაუდო დაზარალებულთან ჩატარებული გასაუბრების პრაქტიკა, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებას და არ არის თავსებადი სისხლის სამართალწარმოების პრინციპებთან.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ ყველა საქმეზე, გამოძიების დაწყებამდე დაზარალებულთან ჩატარდა გასაუბრება, მაშინ, როდესაც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტანილი განცხადება თუ გაკეთებული შეტყობინება უკვე წარმოშობდა გამოძიების დაწყების ვალდებულებას და იძლეოდა შესაბამისი კვალიფიკაციის შერჩევის შესაძლებლობასაც.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ საქმეზე საგამოძიებო ორგანოში წარდგენილ წერილობით განცხადებაში მოყვანილი ინფორმაცია შეიცავდა დანაშაულის აშკარა ნიშნებს, გამოძიების დაწყებამდე სავარაუდო დაზარალებულთან ჩატარდა გასაუბრება (განცხადების წარდგენიდან მეორე დღეს) და სწორედ ამის შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების თაობაზე[29].

კიდევ ერთ საქმეში, რომელშიც სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინება დაფიქსირდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე, გამოძიება მხოლოდ დაზარალებულთან დეტალური გასაუბრების შემდეგ დაიწყო. შეტყობინების შინაარსით დგინდებოდა, რომ არასრულწლოვანს ინტიმური შინაარსის ვიდეო გადაუღო მისმა შეყვარებულმა, რომლითაც მას თვეების განმავლობაში აშანტაჟებდა. ასევე, ვიდეო გაუგზავნა არასრულწლოვნის დეიდას. არც მოცემულ საქმეში აღმოჩნდა აღნიშნული შეტყობინება საკმარისი გამოძიების დასაწყებად; დაზარალებულთან ჩატარდა გასაუბრება, რის შემდეგაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების თაობაზე[30].

---

[27] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199010523003.*
[28] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199040523001.*
[29] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199040523001.*
[30] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199060224003.*

არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის კიდევ ერთ საქმეზე, გამოძიება დაზარალებულთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ დაიწყო. კერძოდ, 2023 წლის 7 მარტს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაკეთებული შეტყობინების თანახმად, არასრულწლოვანს ყოფილი შეყვარებული ემუქრებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი ე. წ. „ნუდების", ვიდეო და ფოტომასალის გავრცელებით და ოჯახის წევრებისთვის გადაგზავნით. ასევე, განცხადების თანახმად, აღნიშნული მასალა, სავარაუდოდ, ერთი ადამიანისთვის უკვე გაგზავნილი ჰქონდა. გამომძიებელმა იმავე დღეს დაიბარა დაზარალებული გასაუბრებაზე, მაგრამ ადვოკატის განმარტებით, 7 მარტს მან ვერ შეძლო საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება და 2023 წლის 9 მარტს მივიდა. 9 მარტს ჩატარებული გასაუბრების შემდეგ, დაიწყო გამოძიება სსკ-ის 157[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით[31].

გარდა იმისა, რომ დაზარალებულთან რამდენჯერმე გასაუბრება შეიცავს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს, გამოძიების დაწყებამდე გასაუბრება არ წარმოადგენს სათანადო სამართლებრივ პროცედურას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლების თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღება უკვე წარმოშობს გამოძიების დაწყების ვალდებულებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულთან ჩატარებული გასაუბრებისა და გამოკითხვის შინაარსი, ფაქტობრივად, ერთმანეთის იდენტური იყო[32]. უფრო მეტიც - გამომძიებლის მიერ დასმული კითხვებიც კი, ორივე შემთხვევაში, იყო ერთმანეთის მსგავსი[33].

აღსანიშნავია, რომ იმ საქმეებზე, რომელზეც გამოძიება 2024 წელს დაიწყო, გასაუბრების ოქმის ნაცვლად, ჩნდება „შესაძლო დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის მიღების ოქმი", რომელსაც აქვს შესაბამისი ფორმა და სტრუქტურა, თუმცა შინაარსითა და დანიშნულებით ისიც გასაუბრების ოქმის იდენტურია.

უმეტესად, დაზარალებულის გამოკითხვა ხდება ორჯერ, რასაც ემატება მანამდე მასთან ჩატარებული გასაუბრება. თუმცა, ძირითადად დაზარალებულის მეორე გამოკითხვა ხდება მისი დაზარალებულად ცნობის შემდეგ, რომელშიც უმეტესად დაზარალებულის პოზიცია და განწყობაა დაფიქსირებული. მხოლოდ ერთ საქმეში, დაზარალებული სამჯერ გამოიკითხა.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში არასრულწლოვანი დაზარალებული გამოიკითხა სამჯერ, თუმცა, მესამე გამოკითხვისას, არასრულწლოვანს გამომძიებელმა დაუსვა ისეთი კითხვები, რომელთა დაზუსტებაც პირველი და მეორე გამოკითხვის დროსაც იყო შესაძლებელი. მაგალითად, არასრულწლოვანს დაესვა კითხვა - ბრალდებულთან კომუნიკაციის განმავლობაში, იცოდა თუ არა მან არასრულწლოვნის ასაკი? ამიტომ, ბუნდოვანია დაზარალებულთან ჩატარებული მესამე გამოკითხვის მიზნობრიობა და საჭიროება[34].

---

[31] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199090323002.*
[32] *იხ. სისხლის სამართლის საქმეები: 199010523003; 199060224003; 199040823002; 199080224001; №199090323002; №199290224002.*
[33] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199010523003; 199090323002.*
[34] *იხ. სისხლის სამართლის საქმე № 199060224003.*

დაზარალებულ არასრულწლოვანთან ჩატარებული გამოკითხვის სიხშირე, რასაც ემატება გამოძიების დაწყებამდე ჩატარებული გასაუბრება, შეიცავს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს და საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

პრობლემურია თანხმობის გარეშე სქესობრივი კავშირის დამყარების შეფასება სსკ-ის 139-ე მუხლით და არა - გაუპატიურების კვალიფიკაციით, რაც საკანონმდებლო ხარვეზითაც აიხსნება.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასთან ერთად, ბრალდებულმა მოტყუებითა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს გავრცელების მუქარით, სქესობრივი კავშირი დაამყარა 16 წლის არასრულწლოვანთან, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა და არა -გაუპატიურების მუხლით (სსკ-ის 137-ე მუხლი)[35]. მოცემული გარემოებები - არასრულწლოვნის მოტყუება და პირადი ცხოვრების საიდუმლოს გავრცელების მუქარა, მიუთითებს ნების დამთრგუნველ გარემოებებზე, რაც სქესობრივ კავშირზე დაზარალებულის ნამდვილ და ჭეშმარიტ თანხმობას გამორიცხავს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, სტამბოლის კონვენციის თანახმად, გაუპატიურებად მიიჩნევა. დაზარალებულმა არასრულწლოვანმა, სქესობრივი კავშირის არასასურველობა გამოკითხვის დროსაც დააფიქსირა, თუმცა, დამატებით კითხვები უმწეო მდგომარეობის გამოყენებით შესაძლო გაუპატიურების გამოსაკვეთად, დასმული არ არის.

დადებითად უნდა შეფასდეს ამავე საქმეში საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სსკ-ის 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების დაქვემდებარება. მართალია, აღნიშნული დანაშაული, თუ იგი არ არის ჩადენილი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ, არ განეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულს, თუმცა, დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, მას სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოში რომ არ მოუწიოს ჩვენების მიცემა, მიზანშეწონილია, რომ პირადი ცხოვრების ხელყოფის თანმდევი დანაშაულები, განსაკუთრებით სქესობრივი დანაშაული, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიქვემდებაროს.

დადებითად უნდა შეფასდეს საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება. შესწავლილი საქმეებიდან, რომელზეც შემაჯამებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული იყო, რომ შესაძლო დანაშაული ჩადენილი იყო გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივითა და დაზარალებულის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით.

შესწავლილი საქმებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა გამოცემული შემაკავებელი ორდერი, თუმცა, საეჭვოა მისი დროულობის საკითხი. კერძოდ, 4 მაისს ჩატარებული გასაუბრებისას, დაზარალებულმა მოითხოვა როგორც შემაკავებელი ორდერის გამოცემა, ისე - ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება. მან იგივე მოთხოვნა დააფიქსირა 5 მაისს ჩატარებული გამოკითხვის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ

[35] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199060224003.*

საგამოძიებო ორგანოსთვის 4 მაისსვე იყო ცნობილი დაზარალებულის სურვილი და საჭიროება, გამოცემულიყო შემაკავებელი ორდერი, მათ მიერ აღნიშნულის თაობაზე განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში გაიგზავნა მეორე დღეს, 5 მაისს. საქმის მასალების თანახმად, პოლიციის გასაუბრება დაზარალებულ ქალთან ჩატარდა 8 მაისს, რის შემდეგაც, მოძალადის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი და მას დაუწესდა ელექტრონული ზედამხედველობა[36].

დანარჩენ შემთხვევაში, მათ შორის, ისეთ საქმეებში, სადაც გამოიკვეთა ქალის მიმართ დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით (რაც შემაკავებელი ორდერის გამოცემის ერთ-ერთი წინაპირობაა), არ შეფასებულა ძალადობის განმეორების რისკები და არც შემაკავებელი ორდერი გამოცემულა[37]. ქალის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ყველა საქმეზე, რომელშიც იკვეთება გენდერული მოტივი, უნდა შეფასდეს ძალადობის განმეორების რისკები (შეივსოს შემაკავებელი ორდერის ოქმი) და შემაკავებელი ორდერის საჭიროება. ამ მიზნით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დროულად უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც აქვს შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილება. ამდენად, ქალის მიმართ სავარაუდო დანაშაულის/ძალადობის ჩადენა გენდერული მოტივით უკვე არის საფუძველი იმისთვის, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რისკების შესაფასებლად და შემაკავებელი ორდერის გამოსაცემად.

3. თვისებრივი კვლევის ანალიზი

ამ ქვეთავში წარმოდგენილია პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების ანალიზი.

3.1. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები

არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე იურისტები მიუთითებენ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობის პოზიტიურ გამოცდილებაზე და გამოყოფენ შემდეგ დადებით ტენდენციებს:

- გამოძიება იწყება შეტყობინების გაკეთებისთანავე და პოლიციისაგან განსხვავებით, საგამოძიებო მოქმედებები დროულად, გაჭიანურების გარეშე ტარდება;
- მსხვერპლის გასაუბრებაზე დაბარება ხდება შემჭიდროებულ ვადებში. ასევე, როგორც წესი, კმაყოფილდება მოთხოვნა საქმეში ქალი გამომძიებლის ჩართვასთან დაკავშირებით;
- დადებითად აფასებენ გამოკითხვის პროცესს და აღნიშნავენ, რომ პოლიციისგან განსხვავებით, ნაკლებად ხდება მსხვერპლისათვის

[36] *იხ. სისხლის სამართლის საქმე №199040523001. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.*
[37] *სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ იძებნება შემაკავებელი ორდერის ოქმი და შემაკავებელი ორდერი და ივარაუდება, რომ არ გამოცემულა.*

სტერეოტიპული და ვიქტიმიზაციის ხელშემწყობი შეკითხვების დასმა. ასევე, აქცენტს აკეთებენ გამომძიებლებისა (როგორც ქალი, ისე კაცი გამომძიებლების შემთხვევაში) და პროკურორების მგრძნობელობასა და მაღალ კვალიფიკაციაზე;

- პოლიციისგან განსხვავებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურში გამოკითხვა მიმდინარეობს სათანადო გარემოში და იზოლირებულ სივრცეში, ცალკე გამოყოფილ ოთახში;
- გამომძიებლები, როგორც წესი, ითვალისწინებენ მსხვერპლის საჭიროებებს. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი მიუთითებს, რომ სურს კონფიდენციალობის დაცვა ოჯახის წევრებთან მიმართებით, გამომძიებელი მას უკავშირდება წინასწარ შეთანხმებულ, მისთვის მოსახერხებელ დროს, როცა იგი თავისუფლად შეძლებს საუბარს;
- საქმის მასალების გაცნობა, როგორც წესი, ხდება დაზარალებულად ცნობამდეც;
- დადებითად აფასებენ ტექნიკური საშუალებების ამოღების პრაქტიკას და მიუთითებენ, რომ როდესაც მტკიცებულებები არის მოსაპოვებელი ტექნიკური მოწყობილობიდან, პოლიციისგან განსხვავებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში არ იტოვებენ ტელეფონს ან კომპიუტერს და ე. წ. „სქრინებით" ხელმძღვანელობენ;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო სწრაფად იწყება, განსხვავებით იმ პერიოდისგან, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა მსგავსი კატეგორიის დანაშაულებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ რიგ გამოწვევებზე და საუბრობენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პრობლემურ პრაქტიკაზეც.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე რესპონდენტები პრობლემად მიიჩნევენ პირადი ცხოვრების ხელყოფის თანმდევი დანაშაულების ცალკე წარმოებად გამოყოფასა და გამოსაძიებლად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემას. მათი თქმით, ხშირად სსკ-ის 157-ე და 157[1]-ე მუხლებთან ერთად, ჩადენილია სქესობრივი დანაშაულიც, თუმცა მათი გადაცემა ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, ვინაიდან იგი არ განეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას. ასეთ დროს, მსხვერპლი ჩვენებას აძლევს როგორც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, ისე - შინაგან საქმეთა სამინისტროში და ფაქტობრივად, რამდენჯერმე უწევს ერთსა და იმავე გარემოებებზე საუბარი. იურისტების თქმით, თუ სპეციალური საგამოძიებო სამსახური ქვემდებარეობის მიხედვით გადააგზავნის საქმეს, მაშინ უნდა მიაწოდოს გამოკითხვის ოქმებიც და სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალებიც.

არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტს მაგალითად მოჰყავს საქმე, რომელიც ეხებოდა უცხოელი გოგოს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის შენახვასა და გავრცელებას და სქესობრივ დანაშაულს. გამოძიება სსკ-ის 157-ე მუხლით დაიწყო და მსხვერპლმა გამოკითხვის დროს დააფიქსირა მის მიმართ ჩადენილი შესაძლო სექსუალური ძალადობის ფაქტიც (საქმეში წარდგენილი იყო ვიდეომასალაც, რომელშიც გოგო ეკითხება მამაკაცს, თუ რატომ გააუპატიურა და რატომ გამოიყენა მასზე ძალადობა, რაზეც ეს უკანასკნელი პასუხობს, რომ ეს ყველაფერი თავად ქალს

მოსწონდა). გამომძიებელმა იურისტს განუცხადა, რომ როგორც კი დაიწყებდა გამოძიებას, სქესობრივი დანაშაულის ნაწილში საქმეს გამოსაძიებლად გადაუგზავნიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა, ადვოკატისთვის უცნობია, მოხდა თუ არა საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რადგან საგამოძიებო ორგანოდან მას არავინ დაკავშირებია. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ მსხვერპლს გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარ მიეცა ჩვენება, თუ მას დაიბარებდნენ გამოკითხვაზე სქესობრივი დანაშაულის ფარგლებში. ამავე საქმეში, მსხვერპლთან გასაუბრების შემდეგ, როდესაც დანაშაულში მხილებული პირი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს, მან თავად ქალი დაადანაშაულა ცრუ ბრალდების წაყენებაში. აღნიშნულის შემდეგ, გამომძიებლები იმყოფებოდნენ სავარაუდო დამნაშავის ბინაში და რაიმე კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს, თუმცა, ადვოკატის თქმით, ახალგაზრდა ქალის პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს მამაკაცი სხვადასხვა ტექნიკურ მოწყობილობაში ინახავდა. გამომძიებელმა მსხვერპლს განუცხადა, რომ რადგან სავარაუდო დამნაშავის ტელეფონში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს და ასევე, მამაკაცი ქალს დებდა ბრალს ცრუ დასმენისთვის, იძულებულები იქნებოდნენ, რომ აღნიშნულ ფაქტზე მოეხდინათ რეაგირება. საბოლოოდ, გამოძიება შეწყდა. როგორც ადვოკატი მიუთითებს, გამომძიებელმა მსხვერპლს უთხრა, რომ საქმე მორიგებით დაესრულებინათ (იგულისხმება გამოძიების შეწყვეტა), რადგან საჩივარი ორივე მხარეს ჰქონდა წარდგენილი. *„მსხვერპლმა გამომძიებელს უთხრა, თუ მამაკაცს ჰქონდა მის წინააღმდეგ საჩივარი წარდგენილი, იმას როგორ გააჩერებდნენ, რაზეც გამომძიებელმა უპასუხა - მთავარია, შენ დათანხმდე და იმას ჩვენ მივხედავთო. ეს გოგო ვერ დავარწმუნე, რომ შეგვეძლო ბრძოლის გაგრძელება, რადგან გამომძიებელი უფრო ავტორიტეტული აღმოჩნდა მის თვალში“* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, პრობლემურია ეფექტიანი და დროული კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის.

ერთ-ერთი იურისტის განმარტებით, მსხვერპლებს (რიგ შემთხვევებში, პოლიციელებსაც) არ აქვთ ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის არსებობის შესახებ და ძალიან ხშირად შსს-ს მიმართავენ გამოძიების დაწყების მოთხოვნით, მაშინ, როდესაც საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოსაძიებელია. მიმართვის შემდეგ, პოლიცია იწყებს გამოძიებას და საქმეს არ აგზავნის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. იურისტის თქმით, მას შემდეგ, რაც მსხვერპლი მათ ორგანიზაციას მიმართავს, შეტყობინებას აგზავნიან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, რომელიც ასევე იწყებს გამოძიებას. შესაბამისად, გამოდის, რომ ორივე უწყებაში ერთდროულად მიმდინარეობს გამოძიება ერთსა და იმავე ფაქტზე. *„ჩვენ გვიწევს ახსნა პოლიციისთვის, რომ მათი ქვემდებარე არ არის საქმე და უნდა შეწყვიტოს გამოძიება“* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

არასამთავრობო ორგანიზაციები პრობლემად მიიჩნევენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურში შსს-ს გამომძიებლის მიერ შედგენილი ოქმების გამოუყენებლობასაც. კერძოდ, თუ მსხვერპლი თავდაპირველად პოლიციის მიერ იქნა გამოკითხული, საქმის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გადაგზავნის მიუხედავად, აღნიშნულ უწყებაშიც

ტარდება გამოკითხვა. შესაბამისად, მსხვერპლს ერთი და იმავე თემაზე ორ სხვადსხვა უწყებასთან უწევს საქმის გარემოებების რამდენჯერმე მოყოლა.

არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტებს მაგალითად მოჰყავთ საქმე, რომელიც სათანადოდ ვერ დაკვალიფიცირდა, რის გამოც გართულდა შესაფერისი საგამოძიებო ორგანოს დადგენა, რომელსაც აღნიშნული საქმის გამოძიება დაექვემდებარებოდა. თავდაპირველად, მსხვერპლმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვინაიდან სავარაუდო მოძალადე იყო ყოფილი პოლიციელი (მსხვერპლს ემუქრებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებითა და სიცოცხლის მოსპობით). გამომძიებელმა ვერ დაინახა დანაშაულის ნიშნები და ინიციატორს უარი უთხრა გამოძიების დაწყებაზე. ამის შემდეგ, ქალმა მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის დახმარებითაც, განცხადება შეიტანა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. აღნიშნულ უწყებაში გასაუბრების შემდეგ, დაადგინეს, რომ საქმე არ იყო მათი ქვემდებარე და განცხადება გადაგზავნეს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. აქედან, საქმე კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფში მოხვდა, საიდანაც საქმე კვლავ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გადაგზავნეს. ადვოკატის თქმით, 9 ნოემბრიდან დღემდე (ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა 2023 წლის 14 ნოემბერს) რაიმე რეაგირება არ მომხდარა და ელოდებიან, როდის დაუკავშირდება გამომძიებელი.

„ვინაიდან, ვერ ადგენენ, კონკრეტული შემთხვევა რამდენად არის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოსაძიებელი, ანუ მისი განსჯადი, საქმე იგზავნება პოლიციაში, მერე პოლიციიდან - ისევ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში და შეიძლება, წრეზე რამდენჯერმე დატრიალდეს ერთი საქმე" (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, გამოძიება ჭიანურდება და რთულდება მაშინ, როდესაც სავარაუდო დამნაშავე არაიდენტიფიცრებადი პირია. კერძოდ, როდესაც სავარაუდო დამნაშავეს სოციალური ქსელი აქვს გაუქმებული და ინტერნეტ სივრცეში აღარ არის შესაძლებელი მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება, საკმაოდ იწელება გამოძიება და დიდი დრო სჭირდება სოციალური პლატფორმებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიღებას. კიდევ ერთი გამოწვევა უკავშირდება საზღვარგარეთიდან პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებას. იურისტების თქმით, ფაქტობრივად, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ აქვს არანაირი ბერკეტი, რომ ასეთ ფაქტებზე მოახდინოს სათანადო რეაგირება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც მოძალადე საზღვარგარეთიდან ავრცელებდა ქალის პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალას, გამოძიებას არ ჰქონდა შესაძლებლობა, აღეკვეთა ეს ქმედება. *„ერთადერთი, რასაც გამომძიებლები ელოდებიან, არის ის, რომ ეს პირი ოდესმე გამოკვეთს ჩვენი ქვეყნის საზღვარს"* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

არასამთავრობო ორგანიზაციები პრობლემად მიიჩნევენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილების არქონას. ერთ-ერთი იურისტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლს უკვე მიცემული აქვს ჩვენება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, მას კიდევ ერთხელ უწევს საქმის გარემოებების მოყოლა პოლიციისთვის, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე. განსაკუთრებით პრობლემურია

შემაკავებელი ორდერის გამოცემა მაშინ, როდესაც სავარაუდო დანაშაული სამართალდამცველის მიერ არის ჩადენილი. ასეთ დროსაც, შემაკავებელი ორდერი პოლიციის თანამშრომელმა უნდა გამოსცეს. შესაბამისად, პოლიცია შეიტყობს, რომ გამოძიება მიმდინარეობს მისი თანამშრომლის წინააღმდეგ.

„ეს შეიძლება თბილისის დონეზე არ იყოს იმხელა პრობლემა, მაგრამ როდესაც რეგიონს და რაიონს ეხება საქმე, უკვე პრობლემა იქმნება, იმიტომ, რომ როდესაც პოლიციის თანამშრომელი, ან მაღალი თანამდებობის პირი არის მხილებული დანაშაულის ჩადენაში და ჩვენ საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ვიძახებთ იმისთვის, რომ შემაკავებელი ორდერი გამოსცეს, რა თქმა უნდა, იმ პოლიციის თანამშრომლისთვის უკვე ცნობილი ხდება, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოძიება" (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

სამართალდამცველის მიერ შესაძლო ძალადობის ჩადენის გამო შემაკავებელი ორდერის გამოცემისას არსებულ კიდევ ერთ პრობლემაზე მიუთითებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. იურისტის თქმით, საქმეზე, რომელსაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებდა, შემაკავებელი ორდერის გამოსაცემად პოლიციის იმ განყოფილებაში მოუწიათ მისვლა, სადაც მოძალადე მუშაობდა. პირი, ვისაც დაევალა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, ძალადობაში მხილებული სამართალდამცველის ყოფილი თანამშრომელი და მოგვარე აღმოჩნდა. იურისტის შეფასებით, დარჩა შთაბეჭდილება, რომ მისი ორგანიზაცია რომ არ ყოფილიყო საქმეში ჩართული, შესაძლოა, შემაკავებელი ორდერი არ გამოეცათ. ასევე, ჰქონდათ მცდელობა, რომ არ დაგროვილიყო რისკების შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული ქულების საკმარისი რაოდენობა ელექტრონული ზედამხედველობის გამოსაყენებლად. *„მარტო რომ ყოფილიყო ეს ადამიანი და ადვოკატი არ ჰყოლოდა, ნამდვილად ისე გააკეთებდნენ, რომ შემაკავებელი ორდერი და ელექტრონული ზედამხედველობა არ გამოიცემოდა"* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, იურისტებს მიაჩნიათ, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებსაც.

არასამთავრობო ორგანიზაცის იურისტის თქმით, პრობლემურია რეაგირება არასამუშაო საათებში გაკეთებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით. შესაძლოა, მსხვერპლი დროულად ვერ დაიბარონ გამოკითხვაზე მაშინ, როდესაც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელების საფრთხე იყოს მყისიერი.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განსხვავებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ აქვს რესურსი, რომ უკვე გავრცელებული ინფორმაცია დაბლოკოს სოციალურ ქსელებში. *Youtube-ზე და მსგავს არხებზე როცა ვრცელდებოდა ინფორმაციები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა რესურსი, დაებლოკა ეს მასალა და სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომი აღარ ყოფილიყო, ხოლო სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ აქვს ადამიანური რესურსი და არც შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება ამ მიმართულებით"* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტები პრობლემად თვლიან პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გასანადგურებლად სამართლებრივი ბერკეტის

არარსებობასაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს ინფორმაცია შენახული აქვს პირად მოწყობილობებში, არ არსებობს ბერკეტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია წაიშალოს. *„ერთადერთი, რასაც პრაქტიკაში აკეთებენ, საპროცესო შეთანხმება რომ ფორმდება, ასეთ საქმეებზე, საპროცესო შეთანხმებაზე ხელმოწერის დღეს ეუბნებიან მოძალადეს, რომ წაშალოს მისი პირადი მოწყობილობიდან ეს ინფორმაცია და აშლევინებენ ხოლმე"* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი). კიდევ ერთი იურისტის თქმით, როდესაც დამნაშავის ელექტრონულ მოწყობილობებს ექსპერტიზის დროს ათვალიერებენ, თუ იქ ინახება პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული რაიმე ინფორმაცია, თავად გამომძიებლები შლიან და გასუფთავებულს უბრუნებენ მესაკუთრეს. *„პრაქტიკაში ასე აკეთებენ, რომ ტექნიკა, რომელსაც დამნაშავეს უბრუნებენ, არის გასუფთავებული და არც ერთი პირადი მონაცემი, რაც შანტაჟისთვის იყო გამოყენებული, იქ აღარ არის"* (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულის სტატუსის დროულად მინიჭების პრობლემაზე და აღნიშნავენ, რომ ხშირად, მხოლოდ მათი საჩივრის შემდეგ ხდება პირის დაზარალებულად ცნობა. ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, მათ რამდენჯერმე მიმართეს პროკურატურას დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, თუმცა უარი უთხრეს. უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოშიც გაასაჩივრეს, მაგრამ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა.

„როდესაც უკვე საჩივარიც შევიტანე, რომ დაზარალებულად ეცნოთ ეს გოგო, ამ შემთხვევაში ძალიან მალე მოხდა რეაგირება. გამომძიებელი შეიცვალა საქმეში, რომელმაც დამირეკა და მითხრა, რომ სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო დაზარალებულად ცნობა, თუმცა მსხვერპლს ვერ უკავშირდებოდა და მე მთხოვა დახმარება. მოგვიანებით გაირკვა, რომ მსხვერპლი დაქორწინდა და აღარ სურდა საქმის წარმოების გაგრძელება. მოკლედ, ეს საქმე ასე ჩაიფარცხა" (არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტი).

3.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოვლენილი გამოწვევები

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები ერთ-ერთ მთავარ პრობლემად საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ნაკლებობას მიიჩნევენ. აღნიშნავენ, რომ მათ სამსახურში მიმართვიანობის გაზრდის მიუხედავად, კვლავ რჩებიან მსხვერპლები, რომლებიც თავს იკავებენ შეტყობინებისგან. ერთ-ერთი გამომძიებლის თქმით, ეს თემა ჯერ კიდევ ტაბუდადებულია საზოგადოებაში, რაც არის მიუმართაობის ერთ-ერთი მიზეზი. იგი, ასევე, მიუთითებს მოწმეთა მხრიდან საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობის სურვილის ნაკლებობაზე - *„ხშირად არ სურთ ორი ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა და ძალიან ხშირად, უარს გვეუბნებიან გამოკითხვაზე".* კიდევ ერთი გამომძიებლის განმარტებით, ინფორმირებულობის ნაკლებობა განსაკუთრებით პრობლემურია არასრულწლოვნებთან მიმართებით. მისი თქმით, ხშირად, მოძალადეები 11-13 წლის გოგოებზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ, მათგან ინტიმური შინაარსის ფოტოების მოპოვების მიზნით. ამიტომ, თუ არასრულწლოვნებს სათანადო ცოდნა ექნებათ ამ საკითხის ირგვლივ, ისინი უფრო მეტად იქნებიან დაცულნი.

გამომძიებელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულებზე მტკიცებულებები, ძირითადად, ელექტრონული ფორმით არსებობს,

რომელსაც ხშირად მსხვერპლები ანადგურებენ (მაგ., შლიან სავარაუდო დამნაშავესთან მიმოწერას). წაშლილი მიმოწერის აღდგენასთან დაკავშირებით, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარებული ექსპერტიზის პასუხი კი, რომელზეც დიდწილად არის გამოძიება დამოკიდებული, დიდი ხნის განმავლობაში არ ეგზავნება საგამოძიებო ორგანოს (ზოგჯერ, სამი-ოთხი თვის შემდეგაც არ არის ექსპერტიზის დასკვნა ცნობილი), რაც გამოძიების პროცესს აჭიანურებს.

„რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, ჩვენ ვატარებთ ექსპერტიზას, მაგრამ ესეც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული და ეს ისეთი დანაშაულია, რომ დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც შეიძლება, სწრაფად გვსურს ხოლმე, რომ შედეგზე გავიდეთ" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

ერთ-ერთი გამომძიებლის თქმით, იმის გამო, რომ ხშირად სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში დასკვნის მომზადება ჭიანურდება, შესაბამისი სპეციალისტების დახმარებით, თავადაც აღადგენენ წაშლილ ინფორმაციას: *„ძალიან ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც შევძელით ინფორმაციის აღდგენა და წაშლილი ფოტოს პოვნა".*

გამომძიებლები გამოწვევად ასახელებენ ისეთ საქმეებზე მუშაობას, რომელშიც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ან პირადი ცხოვრების საიდუმლო გავრცელდა არაიდენტიფიცირებადი პირების მიერ. მათი თქმით, ხშირად, ადამიანები ქმნიან ე. წ. ყალბ „ექაუნთებს" და მსხვერპლმა არ იცის, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. ერთ-ერთი გამომძიებლის განმარტებით, თუ საქმე ეხება Facebook-ს, შესაბამისი მიმართვის საფუძველზე იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, მათ შორის, დაუდგენიათ პირის ვინაობა (რასაც, ასევე, გარკვეული დრო სჭირდება), თუმცა თუ პირადი ცხოვრების მასალები გავრცელდა სხვა პლატფორმებზე (მაგ., tik-tok), ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული გვერდის მომხმარებელი, ამ ინფორმაციის მიღება თითქმის შეუძლებელი ხდება. არაიდენტიფიცირებადი პირის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით, რომელსაც ხშირად 4 თვე მაინც სჭირდება, გამომძიებელი მიუთითებს: *„ეს იმდენად დიდი დრო არის, რომ მსხვერპლის უფლებებიც შეიძლება უფრო მეტად შეილახოს, ამ პიროვნებამ დაიწყოს ან გააგრძელოს ინფორმაციის გავრცელება... შესაბამისად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის დროულად მოსვლას, რათა დროულად მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. იმდენად სპეციფიკური მუხლია, რომ აქ სამი თვე რომ ელოდო Facebook-იდან ინფორმაციის მოსვლას და მერე იმ ინფორმაციის კიდევ გადამუშავებას, ეგ მიმაჩნია ყველაზე დიდ პრობლემად".*

„ზოგადად, მსხვერპლს ყოველთვის უნდა, რომ რაც შეიძლება, დროულად იქნას მიღებული გადაწყვეტილება მის საქმეზე. ეს ისეთი კატეგორიის დანაშაულია, თუ პიროვნება იდენტიფიცირებადია, იქ საგამოძიებო მოქმედებების დროულად ჩატარების საფუძველზე შედეგის მიღწევა შესაძლებელია, თუმცა, როცა დაუდგენელი პიროვნება გვყავს, აქ უკვე იწელება დრო და გვჭირდება დამატებითი რესურსი" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

გამომძიებლები პრობლემად ასახელებენ ე. წ. „დიფ ფეიკებზე" რეაგირებისთვის საკმარისი საკანონმდებლო ბერკეტების არქონას. ერთ-ერთი გამომძიებლის თქმით, არის შემთხვევები, როდესაც საჯაროდ გავრცელებული ფოტოსურათის დამუშავება ხდება ფოტოშოპის საშუალებით, რომელიც იღებს ინტიმურ შინაარსს, თუმცა თუ არ

არსებობს სხვა დანაშაულის ნიშნები (მაგ., იძულება, მუქარა, გამოძალვა), ვერ ახდენენ რეაგირებას. კიდევ ერთი გამომძიებლის განმარტებით, აღნიშნული ფაბრიკაცია ვერ შეფასდება პირადი ცხოვრების საიდუმლოდ, რადგან პიროვნება რეალურ/ნამდვილ მდგომარეობაში არ არის აღბეჭდილი.

„თუ ამას (იგულისხმება „დიფ ფეიკი") პირადი ცხოვრების საიდუმლოდ ჩავთვლით, მაშინ წავაწყდებით პრაქტიკაში კიდევ უფრო დიდ პრობლემას. მაშინ ყველაფერი პირადი ცხოვრების საიდუმლოდ უნდა მივიჩნიოთ, რაც კი ფაბრიკაცია იქნება. შეიძლება, ეს ეხებოდეს ვიღაც ცნობილ ადამიანს, რომლის ვიდეოებიც ვრცელდება სოციალურ ქსელში და საერთოდ არც კი გააკეთოს შეტყობინება საგამოძიებო ორგანოში, მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, მაშინვე დავიწყოთ გამოძიება და ასეთი რამდენი ფაბრიკაციაა, მით უმეტეს, როდესაც კონტროლი სრულიად ვერ ხდება დღევანდელ პირობებში. გარკვეული ოქროს შუალედი უნდა იყოს მაშინ, რა სახის ფაბრიკაცია შეიძლება მივიჩნიოთ პირადი ცხოვრების საიდუმლოდ და რა - არა და ამასაც საკანონმდებლო დონეზე რეგულაცია სჭირდება. ჩვენი ძალებით მაგის განსაზღვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამო-მძიებელი).

„უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ჩანაწერი არის სხვადასხვა პროგრამული საშუალებით დამუშავებული, ანუ კომპიუტერულად გენერირებული, როგორც წესი, საკანონმდებლო მექანიზმი არ არსებობს, რომ გამოძიება დაიწყო, იმიტომ, რომ არ არის ობიექტი... ცალსახად, ამ ეტაპზე, კანონი არ გვაძლევს საშუალებას, რომ მსგავსი ქმედების კვალიფიკაცია მოვახდინოთ, ან 157-ე, ან 157-ე პრიმა მუხლით" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

კიდევ ერთი გამომძიებლის მოსაზრებით, *„არანაკლები ზიანი შეიძლება მიაყენოს ადამიანს ასეთი ინფორმაციის გავრცელებამ - გინდა თვითონ ყოფილა, გინდა - ფოტოშოპით გაკეთებული. განსაკუთრებით სენსიტიურია არასრულწლოვნებში, რადგან ბულინგს იწვევს და ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ დროს სკოლაც ჩაერთოს ხოლმე"* (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

სოციალურ ქსელში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოს წაშლასთან დაკავშირებით, გამომძიებლები მიუთითებენ სხვადასხვა გამოცდილებაზე. გამომძიებელთა ნაწილის თქმით, იყენებენ Facebook-ის სტანდარტულ „დარეპორტების" ფუნქციას, რომელიც შლის/აქრობს ფოტოსურათს, რომელსაც ინტიმური შინაარსი ჰქონდა. გამომძიებელთა განმარტებით, თუ პირს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ინფორმაცია აქვს მობილურ ტელეფონში, განაჩენის დადგომის შემდეგ, მის დაბრუნებამდე შლიან/ანადგურებენ აღნიშნულ მასალას.

„ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია პროკურორთან, რომ განაჩენის დადგომისას მოითხოვოს ინფორმაციის წაშლა იმისათვის, რომ ჩვენ თვითნებურად არ ვიმოქმედოთ. ამიტომ განაჩენებში იწერება ხშირად, რომ ამოღებული ტექნიკა დაუბრუნდეს მფლობელს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის წაშლის შემდგომ. ამას ჩვენ თვითონ ვშლით ხოლმე და ისე ვუბრუნებთ ამ ნივთს მფლობელს, რომ შემდგომ გავრცელება აღარ მოხდეს" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

კიდევ ერთი გამომძიებლის შეფასებით, მართალია, ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში ჯერ არ ჰქონია, თუმცა, ვინაიდან ჩადენილია განზრახი დანაშაული და მობილური

ტელეფონი ან ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობა არის დანაშაულის ჩადენის საგანი, იგი არ უნდა დაუბრუნდეს დამნაშავეს, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს დანაშაულის საგნის ჩამორთმევას. თუმცა, მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს უბრუნდება ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც უკანონოდ მოპოვებულ ინფორმაციას ინახავს, შესაძლოა, დანაშაული კვლავ იქნას ჩადენილი. ამიტომ, უნდა „დარესეტდეს," წაიშალოს ინფორმაცია და ამის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მფლობელს. მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ მომზადდება ინსტრუქცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს აღნიშნული პროცესი.

გამომძიებელთა თქმით, თუ პირადი ცხოვრების ხელყოფას თან ახლავს სქესობრივი დანაშაულიც, როგორც წესი, იქვემდებარებენ აღნიშნულ საქმესაც *„ვინაიდან, ძირითადად აღნიშნულ საქმეზე ყველა საგამოძიებო მოქმედება უკვე პრაქტიკულად ჩვენი ჩატარებულია"* (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი), მაგრამ თუ იკვეთება გამოძალვის ნიშნები, მუხლის სპეციფიკიდან გამომდინარე (მისი გამოძიება მოითხოვს დიდ რესურსს, გამოძალვის ნაწილში), ხშირად აგზავნიან საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფში. *„თუ, მაგალითად, გამოძალვის ნიშნები იკვეთება, უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროში ვაგზავნით, იმიტომ რომ ეს არის გამოძალვის ხერხი და ძირითადი დანაშაული აქ არის გამოძალვა"* (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

ერთ-ერთი გამომძიებლის თქმით, პრობლემაა, როდესაც მსხვერპლს რამდენჯერმე უწევს ერთსა და იმავე გარემოებებზე საუბარი სხვადასხვა პირებთან. შესაძლებელია, ერთ გამომძიებელთან გაიხსნას, ისაუბროს თავის პრობლემაზე და ამის შემდეგ, უწევს სრულიად სხვა გარემოში, სხვა სტრუქტურაში გადასვლა, რაც მისი [გამომძიებლის] აზრით გარკვეულ სტრესთან არის დაკავშირებული. *„სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოში ამის მოყოლა დაზარალებულისთვის დამთრგუნველი იქნება, ამიტომ ვცდილობთ, რომ ჩვენ დავიტოვოთ სქესობრივი დანაშაულის ნაწილშიც"* - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი.

გამომძიებლები, ასევე, აღნიშნავენ, რომ თუ მსხვერპლს ემუქრებიან პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროებით და ამის სანაცვლოდ, მას სთხოვენ სქესობრივი კავშირის დამყარებას და სასურველ მიზანსაც აღწევენ, სექსუალური ძალადობის ნაწილში, ქმედებას აკვალიფიცირებენ სსკ-ის 139-ე მუხლით და არა - გაუპატიურებით, რასაც საკანონმდებლო პრობლემით ხსნიან. ამიტომ, საჭიროდ მიიჩნევენ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას და თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული დეფინიციის შემოღებას.

„თეორიულად თუ განვიხილავთ, დაზარალებულის ნების დასათრგუნად რა მექანიზმი იქნა გამოყენებული, ეს უნდა შეფასდეს თავისი ინტენსივობით. თუ ძალიან მაღალი ინტენსივობით არის ნება დათრგუნული, შეიძლება, ვისაუბროთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის გაუპატიურებაზე. ჩვენ პრაქტიკაში რა შემთხვევებიც გვქონია, თითოეული საქმის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით, იმ დოზით მსხვერპლის ნება არ იყო დათრგუნული, რომ ეს შეგვეფასებინა, როგორც უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება და შესაბამისად, გაუპატიურების კვალიფიკაციაც არ გვქონია" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

გამომძიებლები მიუთითებენ, რომ ხშირად უტარდებათ ტრეინინგები მსხვერპლთან ეფექტიანი კომუნიკაციის საკითხებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე, სქესობრივ დანაშაულებზე, თუმცა, უშუალოდ პირადი ცხოვრების ხელყოფის დანა-შაულების გამოძიებაზე ტრეინინგი არ ჩატარებიათ[38].

„ჩვენ გვაქვს ტრენინგები ჩატარებული, მაგალითად, არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, დისკრიმინაციის საკითხებზე... ბევრი მიმართულებით ვართ გადამზადებულები, მაგრამ უშუალოდ 157-ე, 157-ე პრიმა, 158-ე, 159-ე მუხლებთან დაკავშირებით, გადამზადებულები არ ვართ" (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი).

ასევე, გამომძიებლებს არ აქვთ სპეციალური გაიდლაინი/სახელმძღვანელო უშუალოდ პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულების გამოძიების სტანდარტებზე. გამომძიებელთა ნაწილის თქმით, ისინი ძირითადად ხელმძღვანელობენ პრაქტიკული გამოცდილებით და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მომიჯნავე სფეროში არსებულ გაიდლაინებს.

დასკვნა და ძირითადი მიგნებები

კანონმდებლობის ანალიზის, სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლისა და თვისებრივი კვლევის ჩატარების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები:

- პრობლემურია სსკ-ის 157-ე და 157[1]-ე მუხლების გამიჯვნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დანაშაულის საგანია პირის შიშველი სხეულის ამსახველი მასალა. კანონი არ განმარტავს, თუ რა ითვლება პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციად და რა - პირადი ცხოვრების საიდუმლოდ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სქესობრივი დანაშაულის დეფინიციები არ ეფუძნება მსხვერპლის თავისუფალ და ნებაყოფლობით თანხმობას, რის გამოც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის შანტაჟით სქესობრივი კავშირის დამყარება ფასდება არა გაუპატიურებად, არამედ ნაკლებად მძიმე დანაშაულად - სსკ-ის 139-ე მუხლით - პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებად;
- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ აქვს შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილება, რაც სამართალდამცავის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მიკერძოებისა და ინტერესთა კონფლიქტის რისკებს ქმნის.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ სისხლის სამართლის 7 საქმეზე დაყრდნობით, იკვეთება შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

---

[38] *2024 წლის 17-19 აპრილს, ორგანიზაცია „საფარმა" სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს ჩაუტარა ტრეინინგი თემაზე „კიბერძალადობის, როგორც სექსუალური ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება და მსხვერპლთა დაცვა", რომელშიც 20-მა გამომძიებელმა მიიღო მონაწილეობა.*

- ყველა საქმეზე გამოძიება დაიწყო/გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1]-ე მუხლით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა). აღნიშნული დანაშაულის ჩადენა, ძირითადად, ხდება სოციალური პლატფორმების გამოყენებით, სადაც ქალის შიშველი სხეულის ამსახველი, ინტიმური ხასიათის ფოტო-ვიდეო მასალის უკანონო მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება ხდება;
- პრობლემურია გამოძიების დაწყებამდე სავარაუდო დაზარალებულთან ჩატარებული გასაუბრების პრაქტიკა, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებას და არ არის თავსებადი სისხლის სამართალწარმოების პრინციპებთან;
- საქმეებში, რომელშიც გამოიკვეთა ქალის მიმართ დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, რაც შემაკავებელი ორდერის გამოცემის ერთ-ერთი წინაპირობაა, არ შეფასებულა ძალადობის განმეორების რისკები და არც შემაკავებელი ორდერი გამოცემულა. საქმის მასალებით არ დგინდება აღნიშნული მიზნით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვის შემთხვევები. შესწავლილი საქმებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა გამოცემული შემაკავებელი ორდერი, თუმცა, საეჭვოა მისი დროულობის საკითხი.

თვისებრივი კვლევის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- მსგავსი კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო მეტ დროს ანდომებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, ვიდრე - სპეციალური საგამოძიებო სამსახური;
- პრობლემაა პირადი ცხოვრების ხელყოფის თანმდევი დანაშაულების ცალკე წარმოებად გამოყოფა და გამოსაძიებლად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემა. არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, ხშირად, სსკ-ის 157-ე და 157[1]-ე მუხლებთან ერთად, ჩადენილია სქესობრივი დანაშაულიც, თუმცა, საქმეები გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ვინაიდან იგი არ განეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას, ეს პროცესი მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის მაღალ რისკებს ქმნის;
- არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ზოგადად, პრობლემურია ეფექტიანი და დროული კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის;
- გამოძიება ჭიანურდება და რთულდება, როდესაც სავარაუდო დამნაშავე არაიდენტიფიცრებადი პირია;
- გამომძიებლები ერთ-ერთ მთავარ პრობლემად საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ნაკლებობას მიიჩნევენ და საუბრობენ დაბალ მიმართვიანობაზე;
- პრობლემად გამოიკვეთა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნის მომზადების გაჭიანურება;
- გამომძიებლები პრობლემად მიიჩნევენ ე. წ. „დიფ ფეიკებზე" რეაგირებას. მათი თქმით, აღნიშნული ფაბრიკაცია ვერ შეფასდება პირადი ცხოვრების საიდუმლოდ, რადგან პიროვნება რეალურ/ნამდვილ მდგომარეობაში არ არის აღბეჭდილი;

- პრობლემაა საჯაროდ გავრცელებული ან/და დამნაშავის ელექტრონულ მოწყობილობებში უკანონო გზით მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის განადგურების პრაქტიკული და საკანონმდებლო ბერკეტების არარსებობა.

ხაზგასასმელია წინამდებარე კვლევის შედეგად გამოვლენილი შემდეგი დადებითი ტენდენციები:

- საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება;
- გამოძიების დროულად, შეტყობინების გაკეთებიდან იმავე ან მეორე დღეს, სათანადო კვალიფიკაციით დაწყება;
- როგორც წესი, კმაყოფილდება მსხვერპლისა და მისი ადვოკატის მოთხოვნა, საქმეში ქალი გამომძიებლის ჩართვასთან დაკავშირებით;
- როგორც წესი, საქმის მასალების გაცნობა ხდება დაზარალებულად ცნობამდეც;
- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მსხვერპლის გამოკითხვა მიმდინარეობს სათანადო გარემოში და იზოლირებულ სივრცეში, ცალკე გამოყოფილ ოთახში, სადაც ნაკლებად ხდება მსხვერპლისათვის სტერეოტიპული და ვიქტიმიზაციის ხელშემწყობი შეკითხვების დასმა.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულ მიგნებებსა და გამოწვევებზე დაყრდნობით, რელევანტური უწყებების მიხედვით, „საფარმა“ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მათ მიერ დაცული სფეროს გამიჯვნა: კანონმდებლობაში განიმარტოს „პირადი ცხოვრების საიდუმლო“ და „პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია“;
- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიეცეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების უფლებამოსილება, მაშინ, როდესაც სავარაუდო დამნაშავე სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელია;
- სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულების შემდგომ, შეიქმნას ნორმატიული საფუძველი პირადი ცხოვრების ამსახველი/საიდუმლო ინფორმაციის გასანადგურებლად;
- შეიქმნას ნორმატიული საფუძველი პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის ისეთ საქმეებზე რეაგირებისთვის, რომელიც ეხება პიროვნების პერსონალური მონაცემების ფაბრიკაციას და ამით გამოწვეულ რეალურ ზიანს;
- შეიცვალოს სქესობრივი დანაშაულების დეფინიცია სტამბოლის კონვენციის სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, სქესობრივ და დანაშაულებში მსხვერპლის თანხმობის არარსებობა უნდა იყოს დანაშაულის ცენტრალური ელემენტი.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შემუშავდეს სტრატეგია და განხორციელდეს კამპანიები საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე და მათი გადაჭრის გზებზე;
- ინფორმაციის დროულად გაზიარებისა და ოპერატიული რეაგირების მისაღწევად, გაუმჯობესდეს უწყებათშორისი კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის;
- გაუმჯობესდეს თანამშრომლობა სოციალური ქსელებსა (Meta, Tik-Tok და ა. შ.) და სამართალდამცავ ორგანოებს შორის, სისხლის სამართლის საქმეებში სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირების მიზნით და გამოძიების გაჭიანურების თავიდან ასარიდებლად;
- გაუმჯობესდეს თანამშრომლობა სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოში მყოფი პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულის აღკვეთა საქართველოს საზღვრებს გარეთ;
- შემუშავდეს პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისა და დაზარალებულის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რომელიც გამორიცხავს დაზარალებულის რამდენჯერმე გამოკითხვას ერთი ფაქტის ირგვლივ და, შესაბამისად, მის მეორეულ ვიქტიმიზაციას.
- გამოძიების/სამართალწარმოების დასრულების შემდგომ, შემუშავდეს ერთიანი სტრატეგია, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის/პირადი ცხოვრების საიდუმლოს გასანადგურებლად.